წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №5

ქ. წყალტუბო 13 მაისი, 2026 წელი

2026 წლის 13 მაისს, 12:00 საათზე, ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კობა გურეშიძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ნესტორ აფხაძე, სერგო კირკიტაძე;

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები: ნიკა მჟავია, არჩილ ღიბრაძე, ვაჟა ჟორჟოლიანი, რევაზ დიდავა, ლევან ჩანქსელიანი;

ფრაქციის თავმჯდომარეები: ლატავრა ბენდელიანი, ომარ სინაურიძე;

წევრები: ჯეირან ომანაძე, ირინე ცაავა, ხათუნა მაღლაკელიძე, თამთა ვარდოსანიძე, ნინო ჭეიშვილი, გელა ბაჯაძე, ალექსანდრე ნიქაბაძე, თედო ჭოლაძე, ნაილი ჭოლაძე, ნოდარ ასათიანი, ავთანდილ მხეიძე, გია ხურცია, რევაზ მარგველაშვილი, დიმიტრი ომანაძე, ნუგზარ ქუთათელაძე, გრიგოლ მაღლაფერიძე, მალხაზ მანაგაძე, ოთარ სულაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: თეიმურაზ ჭეიშვილი(შვებულებაში იმყოფება), გიორგი ფაჩუაშვილი, მამუკა ჩხეტიანი, რომეო ნიჟარაძე, შალვა კილაძე, ვლადიმერ ხურცია,

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი მალხაზ ჩხეიძე, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი გელა თათარაშვილი, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი-ქეთევან კირტავა, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი - მაია ბერაძე, მერიისა და საკრებულოს საჯარო მოხელეები.

კობა გურეშიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის საპრევენციო ღონისძიებების გატარებისათვის განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ.

/მომხს: რევაზ დიდავა/

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კობა გურეშიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.
მომხრე -28
წინააღმდეგი -0
დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის საპრევენციო ღონისძიებების გატარებისათვის განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარე კობა გურეშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე-28
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის საპრევენციო ღონისძიებების გატარებისათვის განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი /თან ერთვის ოქმს/.
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კობა გურეშიძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კობა გურეშიძე

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო,
საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების
მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნონა ტაბიძე